

თპუ
ჯანდაცვის ფაკულტეტის საბჭოს
სხდომის ოქმი №12

თბილისი

10 სექტემბერი 2011 წ.

სხდომას ესწრებოდნენ:

ასოც. პროფ. ილონა საყვარელიძე, სრული პროფ. ნინო ორმოცაძე, სრული პროფ. მარიკა კუბლაშვილი, სრული პროფ. ტატინა ზუბიაშვილი.

სტუდენტები: მეგი ბირკაძე, ანტონ სისოევი.

სხდომის თავჯდომარე: ასოც. პროფესორი ილონა საყვარელიძე

სხდომის მდივანი: გაიანე გრიგორიანი

დღის წესრიგი:

რუსეთის ფედერაციის მოქალაქის, ვაჯა ხუროშვილის, თპუ ჯანდაცვის ფაკულტეტზე დიპლომირებული სტომატოლოგის ერთსაფეხურიანი პროგრამაზე ჩარიცხვის საკითხი.

მოისმინეს: თპუ ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის ასოცირებული პროფესორის ილონა საყვარელიძის ინიციატივა იმის თაობაზე, რომ ვაჯა ხუროშვილი არის რუსეთის ფედერაციის მოქალაქე, მან 2011 წელს დაამთავრა სტავროპოლის მხარის ქალაქი-კურორტი კისლოვოდსკის მუნიციპალური ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ლიცეუმი N4, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 01 სექტემბრის N578 ბრძანების საფუძველზე მან მოიპოვა სწავლის უფლება ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე. აბიტურიენტის პირადი განცხადების საფუძველზე ვაჯა ხუროშვილი ჩარიცხება თპუ-ში ჯანდაცვის ფაკულტეტის დიპლომირებული სტომატოლოგის ერთსაფეხურიან პროგრამაზე.

აზრი გამოთქვას:

პროფესორმა ნ. ორმოცაძემ, პროფ. ტ. ზუბიაშვილმა, პროფ.მ. კუბლაშვილმა.

ჯანდაცვის ფაკულტეტის საბჭომ კენჭისყრის შედეგად ერთხმად გადაწყვიტა:

1. ვაჯა ხუროშვილს მიეცეს უფლება განახორციელოს სწავლა თპუ ჯანდაცვის ფაკულტეტზე დიპლომირებული სტომატოლოგის ერთსაფეხურიან პროგრამაზე 0 (ECTS) კრედიტის აღიარებით.
2. ეთხოვოს თპუ რექტორს აღნიშნული გადაწყვეტილების ბრძანებაში ასახვა.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე:

ი.საყვარელიძე

სხდომის მდივანი:

გ. გრიგორიანი